

მედეა ჩიქავა, სტუ-ს პროფესორი
თამარ ცინცაძე, სტუ-ს პროფესორი
მაია ვარსიმაშვილი, სტუ-ს პროფესორი

Summary

The term "Psychosocial" means the influence of social factors on individual's mind and behavior, as well as correlations between behavioral and social factors.

We have studied the psychosocial factors of adolescents with Digestive System Diseases (DSD) and conditionally healthy adolescents. As a result of study, it was established that adolescents with DSD more frequently have chronic psychological overloads, compared with others. The Odds Ratio (OR) of DSD development is the highest among adolescents which have chronic psychological overloads (OR=15,3 (95% CI: 9,06-37,8)), as well as _ bad habits (OR=5,14 (95% CI: 4,22-6,37)); unsatisfactory living conditions ((OR=3,74 (95% CI: 3,05-4,63)) and excessive use of computer, TV (OR=2,74 (95% CI: 2,15-3,58)).

The listed above OR indices may be used for successive implementation of preventive measures, needed for improvement adolescents health.

უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო მეტად იზრდება ინტერესი ჯანმრთელობასა და ავადმყოფობაზე სოციალური ზეგავლენის მნიშვნელობისადმი. ტერმინი „ფსიქოსოციალური“ გულისხმობს სოციალური ფაქტორების ზეგავლენას ინდივიდუუმის გონებასა და ქცევაზე, აგრეთვე ქცევითი და სოციალური ფაქტორების ურთიერთკავშირს (1). ეს განსაზღვრება მოიცავს ფსიქოსოციალურ ფაქტორებს ჯანმრთელობის კვლევასთან კონტექსტში, როგორც სოციალური სტრუქტურული ფაქტორების ზეგავლენას ინდივიდუალური ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, მის ცვლილებაზე და გამოსავალზე. ამ განმარტებას შეუძლია მიგვიყვანოს „ჯანმრთელობის ფსიქოსოციალური დეტერმინანტებისა“ და ავადმყოფობა-ჯანმრთელობის სწორ გაგებამდე.

პირდაპირი მნიშვნელობით, ფსიქოსოციალური ფაქტორები შეიძლება გამოვიყენოთ ტერმინად, რომელიც გამოხატავს მთლიანი სოციალური დონის ზეგავლენას მთლიანი ინდივიდუალური დონის მიმართ, რომელიც არც ერთია და არც მეორე (2). ფსიქოსოციალური ფაქტორები არ უნდა გავუთანაბროთ საზოგადოების სტრუქტურულ ან ინდივიდუუმის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს.

ცნობილია, რომ ფსიქიკური დარღვევები შეიძლება გამოიწვიოს ან მათი პროვოცირება მოახდინოს დროებითმა და ქრონიკულმა ფსიქიკურმა გადატვირთვებმა (3), რომლებიც იწვევს სტრესის განვითარებას. სტრესი მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა.


მასში შეიძლება გამოვყოთ, სულ მცირე, 4 მნიშვნელობა (Nitsch, 1981), რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანია სტრესი, როგორც მოვლენა (UV). სტრესს, როგორც სიტუაციურ ან გამლიზიანებელ ფენომენს, შესაძლო მოვლენის სახით, რომელიც დაკავშირებულია დაძაბულობასთან, ზოგჯერ სტრესორსაც უწოდებენ.

მრავალი კვლევით აღმოჩნდა, რომ, ერთი მხრივ, ყოველდღიურმა სტრესულმა მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიოს განწყობილების გაუარესება, ხოლო, მეორე მხრივ, პირიქით, უკვე არსებული ფსიქიკური სიმპტომები, გარკვეულად, ხელს უწყობს იმას, რომ რაღაც მოვლენა განიცდება როგორც სტრესი.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა კუჭ-ნაწლავის პათოლოგიის მქონე და პირობითად ჯანმრთელ მოზარდთა სტრესორები, რომლებიც დაკავშირებულია ფსიქოსოციალურ რისკის ფაქტორებთან. კვლევის შედეგად, ამ დაავადებების მქონე მოზარდებში, დანარჩენებთან შედარებით, უფრო მეტი სიხშირით გამოვლინდა ქრონიკული ფსიქოლოგიური გადატვირთვები. კერძოდ, საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებათა (სმსდ) განვითარების შანსები (OR) ყველაზე მაღალი აღმოჩნდა მოზარდებში, რომლებსაც ყველაზე მეტად აღენიშნებათ ფსიქოლოგიური გადატვირთვა სწავლის გაძლიერებასთან (OR=7,1 (95% CI: 4,58-11,6)) დაკავშირებით (სწავლა ორ და მეტ სკოლაში, ორ და მეტ მასწავლებელთან მომზადება), აგრეთვე – კონფლიქტური სიტუაციები ოჯახსა (OR=6,0 (95% CI: 4,99-7,34)), (r=0,3) და სასწავლებელში (OR=2,37 (95% CI: 1,89-2,97)), სიძნელები თანატოლებთან ურთიერთობისას (OR=3,83 (95% CI: 3,05-4,89)), უარყოფითი ემოციები ჭამამდე და ჭამის დროს (OR=2,77 (95% CI: 2,23-3,44)) (r=0,37), (დიაგრამა № 5. 10).

დიაგრამა № 5.10

ქრონიკული ფსიქოლოგიური გადატვირთვების
სმსდ-თან ასოცირების დონეები
შანსების თანაფარდობის მაჩვენებლის (OR)
მიხედვით




- სწავლით გაძლიერებული დატვირთვა;
- კონფლიქტური სიტუაციები ოჯახში;
- სირთულეები თანატოლებთან ურთიერთობისას;
- უარყოფითი ემოციები ჭამამდე ან ჭამის დროს;
- კონფლიქტური სიტუაციები სასწავლებელში.

ქრონიკული გადატვირთვები, კვებითი რისკის ფაქტორების შემდეგ ($OR = 26,3$), ყველაზე მეტადაა ასოცირებული მოზარდთა სმსდ-თან. თუმცა, მოზარდთა ჯანმრთელობასა და ფსიქოსოციალურ ფაქტორებს შორის კავშირის თვალსაზრისით, ქრონიკული გადატვირთვები რანგით პირველ ადგილზეა – $OR=15,3$ (95% CI: 9,06-37,8), ხოლო მეორე ადგილზე – მოზარდის მავნე ჩვევები აღმოჩნდა ($OR = 5,14$ (95% CI: 4,22-6,37) (დიაგრამა № 5. 11),

ამჟამად საყოველთაოდ ცნობილია, რომ თამბაქოს მოწევა მიზეზია მრავალი დაავადების განვითარებისა, რომელიც სიკვდილს იწვევს. მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანი შთანთქმავს ტოქსიურ ნივთიერებებს, რომლებიც თამბაქოს კვამლშია. ეს ყოველწლიურად მსოფლიოში 4 მლნ. ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდება. თამბაქოს მოწევა ადამიანის 14 ორგანოსა და სისტემის დაავადებათა განვითარებას იწვევს (4). ძირითადი სამიზნე სისტემებია: სასუნთქი, გულ-სისხლძარღვთა, შარდ-სასქესო და საჭმლის მომნელებელი. ჩვენს მიერ გამოკვლეულ პოპულაციაში სმსდ-ის მქონე მოზარდთა 38,7% ეწევა – $OR=2,96$ (95% CI: 2,39-3,67) და 26,9% ჭარბად ლეულობს ალკოჰოლს – $OR=2,3$ (95% CI: 1,82-2,89), მაშინ როცა პოპულაციის დანარჩენ მოზარდთა შორის, შესაბამისად, 17,6% და 13,8% იქცევა ასე.

დიაგრამა № 5. 11

ფსიქოსოციალური რისკის ფაქტორების სმსდ-თან ასოცირების დონეები
შანსების თანაფარდობის მაჩვენებლის (OR)
მიხედვით



- ქრონიკული ფსიქოლოგიური გადატვირთვები;
- მოზარდის მავნე ჩვევები;
- არადამაკმაყოფილებელი ცხოვრების პირობები;
- კომპიუტერის, ტელევიზორის გადამეტებული გამოყენება;
- ნაცნობთა უმრავლესობა ეწევა;
- მშობლები დაუქორწინებლები ან განქორწინებულები;
- პასიური მოწევა 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

სმსდ-ის მქონე მოზარდთა 30,7%-ს აქვს არადამაკმაყოფილებელი საყოფაცხოვრებო პირობები, აქედან – 11,9%-ს აქვს ნესტიანი ბინა, 18,4%-ს კი ორივე ეს რისკის ფაქტორი აღენიშნება. საბოლოო ჯამში, მოზარდთა სმსდ-თან კავშირის თვალსაზრისით, არადამაკმაყოფილებელი ცხოვრების პირობები რანგით მესამე ადგილზეა ($OR=3,74$ (95% CI: 3,05-4,63)) მავნე ჩვევების შემდეგ (დიაგრამა № 5. 11).

ჩვენს მიერ გამოკვლეულ მოზარდთა მთელ პოპულაციაში მაღალია კომპიუტერისა და ტელევიზორის გადამეტებული (დღეში 3 საათზე მეტი ხნის განმავლობაში) გამოყენება. ამდენად, უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების უკონტროლო გამოყენება მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ახდენს ბავშვთა და მოზარდთა განვითარებაზე ($OR=2,74$ (95% CI: 2,15-3,58) (დიაგრამა № 5. 11).

ფსიქიატრები და ფსიქოლოგები ვარაუდობენ, რომ XXI საუკუნეში მოზარდებში ძირითადად გავრცელებული იქნება ისეთი დაავადებები, რომლებიც დაკავშირებულია ტელეგადაცემების ხანგრძლივ ყურებასა და კომპიუტერთან მუშაობასთან, შემდეგი მიზეზების გამო:

- კინესკოპი ახდენს დასხივებას, რომელსაც მი-

ყვავართ მოზარდის ორგანიზმის ნერვულ-სომატურ დარღვევებამდე, რაც ძლიერ ფიტავს მის ნერვულ სისტემას;

- ეკრანთან ხანგრძლივად ჯდომა იწვევს ასთენო-ნევროზულ დარღვევებს: უმოძრაობისგან ირღვევა ნაწლავთა მუშაობა, ორგანიზმიდან ცუდად გამოდის შლაკები და მოზარდები ხშირად ავადმყოფობენ;
- ყველაზე მეტად შესამჩნევია ფსიქოემოციური დარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია ტელევიზიის საინფორმაციო ზემოქმედებასთან მოზარდის პიროვნებაზე (5).

შემჩნეულია, რომ მოზარდებს, რომლებიც მიჩვეული არიან ტელევიზორთან და კომპიუტერთან ხანგრძლივად ჯდომას, უქვეითდებათ მესხიერება. ისინი უარესად აზროვნებენ სკოლაში გაკვეთილებზე, ვერ ახდენენ კონცენტრირებას, ერღვევათ ძილი, ხდებიან ნევროზულები. ფსიქოემოციური დაძაბულობის ზრდის გამო უარესდება მშობლებთან ურთიერთობა, განსაკუთრებით, თუ ისინი ითხოვენ ეკრანისგან მოწყვეტას. ზრდასრული ადამიანიც კი, რომელსაც უფრო ძლიერი და მყარი ფსიქიკა აქვს, ვერ უპირისპირდება ამ ზემოქმედებას, თუნდაც კრიტიკულად აღიქვამდეს იმას, რასაც უყურებს. რაღა უნდა ითქვას მოზარდებზე . . .

ცხადია, მეცნიერები აღიარებენ, რომ კომპიუტერთან, განსაკუთრებით ინტერნეტით, მუშაობა არსებითად ზრდის უფროსკლასელთა განათლების ხარისხს. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ მათ შევასწავლით ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძებნასა და დამუშავებას, რაც უმეტესად უმაღლეს საწავლებლებშიც კი არ ხორციელდება. პირიქით, მოზარდები უმეტესად ჩაფლული არიან ვირტუალურ თამაშებში, რაც, ცხადია, მათ დაჭკვიანებაში ვერ დაეხმარება.

ტელევიზორისა და კომპიუტერის ეკრანთან საათობით ჯდომის ჩვევაც კი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს (Дядун К., 2002). ფსიქოტექნოლოგიების მონაცემებით, მოზარდი თაობის გადაჩვევა კითხვისგან ძალიან სწრაფად ხდება. მაგრამ ეს უკვე უბრალოდ სასარგებლო ჩვევის არარსებობა კი არა, არამედ — წარმოსახვის ფუნქციური უუნარობაა. ეჩვევა რა ვიდეოგამოსახულებას, ტვინს არ შეუძლია წარმოიდგინოს, როგორ გამოიყურება პეიზაჟი და წარმოების გმირი. ეს არა მარტო ტვინის ერთ-ერთი ფუნქციის სიკვდილი და დამატებითი ინტელექტუალური შესაძლებლობების დაკარგვა, არამედ — სამწუხარო სტატისტიკაა.

როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, საშიშროებას წარმოადგენს ტელეინფორმაციის არა მარტო შინაარსი, არამედ მისი მოცულობაც. გადაუმუშავებელი ინფორმაციის სიჭარბე ადამიანში იწვევს შფოთვის გრძნობას. ეს ნორმალური ფიზიოლოგიური რეაქცია და ადეკვატური რეაგირებაა, მაგრამ როცა ასეთი ინფორმაცია ჭარბად გროვდება, ხელსაყრელი პირობები იქმნება ნერვული დარღვევებისა და აგრესიულობის განვითარებისთვის.

ზემოაღნიშნული რისკის ფაქტორების გარდა,

მოზარდთა ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას ახდენს ის, რომ ნაცნობთა უმრავლესობა ეწევა ((OR=2,62 (95% CI: 2,08-3,32); მშობლები დაუქორწინებლები ან განქორწინებულები არიან (OR= 2,37 (95% CI: 1,81-3,04); აგრეთვე — პასიური მონევა 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში (OR=1,83 (95% CI: 1,45-2,34)) (დიაგრამა № 5. 11).

მოზარდთა ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნულ ფსიქოსოციალურ რისკის ფაქტორთა შესამცირებელ ღონისძიებათა თანმიმდევრულად განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Oxford English Dictionary. [Http:// dictionary. oed. com](http://dictionary.oed.com).
2. Halder S., McBeth J., Silman AJ., Thompson DG. and Macfarlane GJ. // Psychosocial risk factors for the onset of abdominal pain. Results from a large prospective population-based study. 2002, 31: 1219-1225.
3. Перре М., Лайррейтер А., Бауманн У. // Стресс и копинг, как факторы влияния. Клиническая психология. 2-е межд. изд., Питер. Москва, Санкт-Петербург, Нижний Новгород, Воронеж, Ростов-на-Дону, Екатеринбург, Самара, Киев, Харьков, Минск, 2003, 342-357.
4. Сахарова Г. М. // Воздействие курения на организм. Болезни органов дыхания, 1, 2004.
5. Литвин Р. // Меняю родителей на виртуального монстра, 2001.